



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №20

აბაშა, 2019 წლის 1 მარტი

„საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი
პროექტების მოწონების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე მოწონებულ იქნეს „საქართველოს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები“ დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება თანდართული დოკუმენტაციით წარდგენილ იქნეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247);
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

მ. კვიციანი